მერე კი, ვნახოთ…

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 10 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ჟალგირისი” (ვილნიუსი) 3:1 (1:1).

“დინამო”: კუცია, დანელია, ჩივაძე, კერესელიძე, ჟიბა, ჯოხაძე, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ჟორჟიკაშვილი, შენგელია (ცაავა).

“ჟალგირისი”: ბუიანაუსკასი, ტურსკისი, ბარანაუსკასი (ლევიანდრაუსკასი), გრაჟულისი, რასიუკასი, კასპარავიჩუსი, დანისიავიჩუსი, მაცკიავიჩუსი, იაკუბაუსკასი, მალკიავიცუსი (კონციავიჩუსი), იანონისი.

მსაჯი: ა. ხორლინი.

გააფრთხილეს კერესელიძე და გრაჟულისი.

უკანასკნელ მატჩებში თბილისის “დინამოს” შემადგენლობა შედარებით დაიწმინდა, უფრო სტაბილური გახდა, რასაც არ შეიძლება შედეგი არ მოჰყოლოდა. 5 შეხვედრაში გუნდმა 7 ქულა მოაგროვა, თუმცა ქულებზე მეტად უფრო ის არის სასიამოვნო, რომ თბილისელების თამაშში, მართალია ეპიზოდურად, მაგრამ მაინც, გაჩნდა გააზრებული კომბინაციები, ორიგინალური ტაქტიკური “სვლები”. უნდა ვივარაუდოთ, რომ როცა მათი რაოდენობა მომრავლდება, “დინამოს” პოტენცია კიდევ ერთი საფეხურით აიწევს და შედეგიც გაცილებით უკეთესი იქნება.

“ჟალგირისთან” მატჩი ზემოთ ნათქვამის მშვენიერი ილუსტაციაა.

დასაწყისში პირველ ათ წუთში მასპინძლებს გოლის გატანის 3–4 კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ. ასეთი უპირატესობის ხანგრძლივად შენარჩუნება, ბუნებრივია, ძნელია, მაგრამ კარგად და სუსტად ნათამაშევი პერიოდები ისე განსხვავდებოდა ერთიომეორისაგან, რომ კაცი უნებლიედ იფიქრებდა: წუთის წინ სხვა გუნდი თამაშობდა, ახლა – სხვაო. თუმცა ეს არც არის გასაკვირი. სტაბილურობა, საერთოდ, გუნდის კლასის მაჩვენებელია, თბილისის “დინამოს” კი ჯერჯერობით, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მარტო გამოუცდელობა არ მისცემს საშუალებას საშუალოზე მაღალ დონეზე ჩაატაროს მთელი მატჩი, გამოუცდელობაში იგულისხმება მოთამაშეთა მეტი წილის ახალგაზრდული ასაკი და მათი შეუთამაშებლობა, რასაც თანდათან მოევლება.

მე–19 წუთზე თბილისელმა მცველებმა უყურადღებობა გამოიჩინეს და იაკუბაუსკასს გოლის გასატანად დიდი ჯაფა აღარ დასდგომია – 0:1.

32–ე წუთზე გუცაევის შეტევა მარჯვენა ფლანგიდან სტუმრებმა სარმით შეაჩერეს. პენალტი. ჩივაძის დარტყმა ზუსტი გამოდგა – 1:1.

მეორე ტაიმში კარგა ხანს ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია უპირატესობას. მას შემდეგ კი, რაც ჯოხაძემ 69–ე წუთზე მეორე გოლი გაიტანა, მატჩი ცალ კარში თამაშს დაემსგავსა. თბილისელები უტევდნენ, ვილნიუსელები კი მასპინძელთა შეტევებს იგერიებდნენ. 81–ე წუთზე “დინამოს” ერთ–ერთი იერიში ცაავას ზუსტი გადაცემით და ჯოხაძის ასეთივე ზუსტი დარტყმით, ერთი სიტყვით, გოლით დასრულდა – 3:1.

და ბოლოს: ძლიერ გუნდებს მეტოქეები მორიდებით, ერთგვარი შიშითაც ეთამაშებიან, რაც ერთგვარ დაღს ასვამს მათ თამაშს. სავსებით მარტივ სიტუაციებში მოსდით შეცდომები, ზომაზე მეტად ნერვიულობენ და ასე შემდეგ. ამით, ბუნებრივია, მშვენივრად სარგებლობს ძლიერი მხარე. მომხდარა ისეც, რომ გამარჯვებულს თითქმის უბრძოლველად მოუგია მატჩი.

წლევანდელ სეზონში თბილისის “დინამოს” მეტოქეებმა დაკარგეს ეს შიში და მორიდება. ამ ვითარებაში გაცილებით გართულდა თამაშიცა და მოგებაც. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, თუ წლევანდელი სეზონის ბოლოსთვის ჩვენი გუნდი ნაწილობრივ მაინც დაიბრუნებს ძველ სახელსა და ძალას, გაისად თბილისელებს უეჭველად ვიხილავთ პირველ სუთეულში, მერე კი, ვნახოთ…

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 12 ივლისი, 1983 წ.